

გენეტიკური და მორფოლოგიური ცვალებადობა ორსქესიან (*Darevskia portschinskii*) და ერთსქესიან (*Darevskia dahli*) ხვლიკებში

ნათია ბარათელი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე ეკოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა
- ეკოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით თარხნიშვილი სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016 წელი

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნ.ბარათელი _20.06.2016_ თარიღი

სარჩევი

აბსტრაქტი	1
შესავალი	2
მასალა და მეთოდი	7
<i>სინჯების აღება</i>	<i>7</i>
<i>ქერცლების აღწერა- დასურათება</i>	<i>8</i>
<i>მორფოლოგიური მონაცემების დამუშავების სტატისტიკური მეთოდები</i>	<i>9</i>
<i>გენეტიკური მონაცემები.....</i>	<i>9</i>
<i>გენეტიკური და მორფოლოგიური მონაცემების საბოლოო დამუშავება.....</i>	<i>10</i>
შედეგები	11
მადლობა.....	21
დანართი	22
დანართი.1	22
ბიბლიოგრაფია	28

აბსტრაქტი

საკვლევი ობიექტი იყო ორსქესიანი მტკვრის ხვლიკი (*Darevskia portschinskii*) და ერთსქესიანი დალის ხვლიკი (*Darevskia dahli*). ჩემი ნაშრომის მიზანი იყო შემედარებინა ერთსქესიანი და ორსქესიანი ხვილკების გენეტიკური და მორფოლოგიური ცვალებადობა პოპულაციის შიგნით და პოპულაციებს შორის. აღწერე მორფოლოგიური ნიშნების (ქერცლები) იმისთვის, რომ ეს ნიშნები გამოსადეგი გამხდარიყო პოპულაციურ-გენეტიკური კვლევებისთვის. კვლევის შედეგები დამუშავდა სტატისტიკურად. მიღებული შედეგების თანახმად დადგინდა, რომ მტკვრის ხვლიკი როგორც გენეტიკურად, ასევე მორფოლოგიურად, უფრო ცვალებადია, ვიდრე დალის ხვლიკი. მორფოლოგიური ნიშნების ცვალებადობას ნაწილობრივ გენეტიკური ფაქტორები განაპირობებს, ნაწილობრივ კი - გარემო პირობები.

საძიებო სიტყვები: პართენოგენეზი; ხვლიკები; *Darevskia portschinskii*; *Darevskia dahli*; მორფოლოგია; პოპულაციური გენეტიკა; მიკროსატელიტები